პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის. თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი, 25 იანვარი, 1946 წ. № 19 (7492). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უდიდესი განძი მარქსიზმ-ლენინიზმში. მოწინავე. (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ჰარიმანი (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის სახკომსაბჭოში. (1-ლი გვერდი).
ამხ. ა. ი. ვიშინსკი ეწვია ბევინს. (1-ლი გვერდი).
კორეის საკითხის შესახებ. საკდესის ცნობა. (1-ლი გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია. (1-ლი გვერდი).
ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ გიორგი თევდორაძე-ძე სტურუასთან (მე-2 გვერდი).
ა. მგელაძე — მკაფიო, შინაარსიანი ხაზგრატკლიმ-პროპაგანდისტული მუშაობისათვის. (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

## უდიდესი განძი მარქსიზმ-ლენინიზმში

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ გამოდის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** თხზულებათა პირველი გამოცემა 16 ტომად.

ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ბოლშევიკური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში.

ამხანაგ სტალინის ნაშრომებმა ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებაში.

ამხანაგ სტალინის ნაშრომებმა იდეურად გამოაწრთვეს პარტიული და არაპარტიული კადრები, აამაღლეს საბჭოთა ხალხის პოლიტიკური დონე.

ამხანაგ სტალინის ნაშრომებში განზოგადებულია ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება.

ამხანაგ სტალინის ნაშრომებში განვითარებული და ახალი გამოცდილებით გამდიდრებულია მარქსისტულ-ლენინური თეორია.

**ლენინთან** ერთად **სტალინმა** გამოსჭედა ბრძოლებში ნაცადი ბოლშევიკური პარტია; ლენინთან ერთად სტალინმა განავითარა მარქსიზმი ახალ ისტორიულ ვითარებაში; ლენინის კლასიკურ ნაშრომებთან ერთად, სტალინის კლასიკური ნაშრომები წარმოადგენენ უდიდეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმში.

ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი გამოცემა უდიდეს დახმარებას გაუწევს როგორც პარტიულ კადრებს, ისე საბჭოთა ინტელიგენციას — ღრმად შეისწავლონ **ლენინ-სტალინის** პარტიის ისტორია და თეორია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კომუნიზმის მშენებლობის გზების შესახებ.

ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი გამოცემა შეიცავს ნაშრომებს, რომლებიც დიდი ბელადის მიერ დაწერილია 45 წლის განმავლობაში — 1901 წლიდან 1946 წლამდე. პირველ სამ ტომს საბჭოთა მკითხველი მიიღებს მიმდინარე წელს.

პირველ ტომში, რომელსაც დართული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მიერ 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილი ნაწარმოებები.

ეს არის პერიოდი, როცა ამხანაგი სტალინი მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში, პირველ რიგში, ქართველი „ლეგალური მარქსისტების" წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქმნის ლენინურ-ისკრულ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ხელმძღვანელობს მათ და ასაბუთებს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად პრინციპებს. **„პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წლები) ამხანაგი სტალინი იყო ლენინური ხაზის მტკიცე გამტარებელი, ამიერკავკასიის ბოლშევიკთა და რევოლუციურ მუშათა და გლეხთა ბელადი და ხელმძღვანელი".** (ლ. პ. ბერია). ამხანაგ სტალინის 1901-1907 წლების პერიოდის თხზულებანი უმთავრესად დაწერილია ქართულ ენაზე.

პირველი ტომი იწყება 1901 წელს დაწერილი სტატიებით: „რედაქციისაგან" და „რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი მიზნები". ორივე წერილი მოთავსებული იყო ქართველ რევოლუციონერ მარქსისტთა ჯგუფის მიერ გამოცემულ პირველ არალეგალურ ქართულ გაზეთ „ბრძოლაში".

ამხანაგი სტალინი პირველ წერილში კლასიკურად განმარტავს არალეგალური პრესის, როგორც პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის იარაღის მნიშვნელობას და მიუთითებს, რომ „ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშების მოძრაობიდან გამოწვეულ ყოველ კითხვაზედ, გაურკვიოს პრინციპიალური კითხვები, აუხსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა. გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე აუწყოს მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებანი, რასაც ადგია რუსეთის რევოლუციონური სოციალ-დემოკრატიული პარტია. უნდა აცნობს როგორ ცხოვრობენ მუშები სხვაგან, რას და როგორ აკეთებენ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და თავის დროზე მოუწოდოს ქართველ მუშას ბრძოლის ველზე. ამასთანავე გაზეთი არ უნდა სტოვებდეს არც ერთ საზოგადო მოძრაობას აუხსნელად და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკით გაურჩევლად".

ამხანაგმა სტალინმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბოლშევიკურ პრესას, მის დიდ ტრადიციას და აღზარდა მისი შესანიშნავი კადრები.

წერილში „რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი მიზნები" დიდმა სტალინმა გამოააშკარავა უტოპიური სოციალიზმის უსუსურობა, კლასიკურად გააკრიტიკა დასავლეთ ევროპის რეფორმისტები — ბერნშტეინიანელები, მათი მიმდევრები რუსეთში — „ეკონომისტები" და დაასაბუთა, რომ „მუშათა კლასი უნდა მოეწყოს **თვითმომქმედ პოლიტიკურ პარტიად"**.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის მიერ 1904-1905 წლებში დაწერილ სტატიებს: „როგორ ესმის სოციალდემოკრატიას ნაციონალური კითხვა?" და „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია". ეს წერილები, კლასიკურ ბროშურასთან ერთად — „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", შესულია პირველ ტომში. ამავე ტომში შევიდა აგრეთვე მთელი რიგი წერილები, პროკლამაციები და მოწოდებები, რომლებიც ამხანაგ სტალინის მიერ არის დაწერილი 1901-დან 1907 წლამდე.

ბრწყინვალე თეორიული ნაშრომით — „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" მთავრდება პირველი ტომი. ამ ნაშრომში **„ამხანაგი სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს, აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს"** (ლ. პ. ბერია).

ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომები ნაციონალური საკითხის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, სამხედრო მეცნიერების, საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ წარმოადგენენ უდიდეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმში. ეს ნაშრომები გამოცემის ტომებში შევა ქრონოლოგიის მიხედვით.

მკითხველი ცალკე, მე-15 ტომად მიიღებს ამხანაგ სტალინის კლასიკურ წიგნს — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი".

ასევე ცალკე, მე-16 ტომად გამოვა ამხანაგ სტალინის ნაშრომები დიდი სამამულო ომის პერიოდში, გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის აგრესიული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ომის პერიოდში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველ გამოცემას.

ამხანაგი სტალინი, რომელმაც განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია, მეცნიერების კორიფეა.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები წარმოადგენენ გენიალურ შენაძენს საკაცობრიო მეცნიერებაში.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები იდეურად, პოლიტიკურად, თეორიულად გვაიარაღებენ, გვაძლევენ ახალ ძალასა და ენერგიას, შთაგვაგონებენ საგმირო საქმეებს საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად, განგვიმტკიცებენ ღრმა რწმენას ჩვენი მართალი საქმის საბოლოო გამარჯვებაში.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფის, მისი აზრის, მისი შემოქმედებითი ძალისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გენიალურ განსახიერებას წარმოადგენენ.

და მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, მოუთმენლად, სიხარულით მოელის თავისი მშობლიური ბელადის—დიდი სტალინის თხზულებათა პირველ გამოცემას. იგი მასში ხედავს თავისი ძალისა და ძლიერების, თავისი ძლევამოსილების დაუშრეტელ წყაროს!

## ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ჰარიმანი

**23 იანვარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი.**

**მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი.**

## ამხ. ა. ი. ვიშინსკი ეწვია ბევინს

**ლონდონი,** 23 იანვარი. (საკდესი). 23 იანვარს დილის 10 საათსა და 15 წუთზე ამხ. ა. ი. ვიშინსკი ეწვია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ბევინს.

## კორეის საკითხის შესახებ

### საკდესის ცნობა

კორეის მთელი რიგი გაზეთები, რომლებიც სამხრეთ კორეაში გამოდიან, სადაც კონტროლი ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა ხელშია, არასწორ ცნობებს ავრცელებენ ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების შესახებ კორეის საკითხზე. ამ ცნობებში საქმე იმგვარად არის წარმოდგენილი, თითქოს მეურვეობის დაწესებას კორეაში მოითხოვდა საბჭოთა კავშირი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები საწინააღმდეგო პოზიციას ადგნენ.

ამ არასწორი ცნობების უარყოფისა და ჭეშმარიტების აღდგენის მიზნით საკდესს დავალებული აქვს განმარტოს შემდეგი:

კორეის საკითხი საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე განსახილველად დასმულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ინიციატივით, რომელმაც შემოიტანა თავისი პროექტი გადაწყვეტილებისა კორეის შესახებ.

თავის პროექტში შეერთებული შტატების მთავრობა აზრს გამოსთქვამდა იმის სასარგებლოდ, რომ უახლოესი მიზანი კორეაში უნდა იყოს ერთიანი ადმინისტრაციის შექმნა ორი სამხედრო სარდლის მეთაურობით, რომლებიც ერთად იმოქმედებენ ყველა საკითხში, რაც კი კორეის ეროვნულ ინტერესებს ეხება, ესე იგი იმ საკითხებში, რომლებიც ეხებიან ვალუტას, ვაჭრობას, ტრანსპორტსა და სხვ. ამასთან ერთად აქ აღნიშნული იყო, რომ, რამდენადაც ეს განსახორციელებელია, კორეელებს მიიწვევენ ერთიან ადმინისტრაციაში, როგორც ადმინისტრატორებსა და როგორც კონსულტანტებს და მრჩევლებს სამხედრო სარდლებთან. პროექტში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ერთიანი ადმინისტრაცია განზრახულია როგორც გარდამავალი ნაბიჯი კორეის არასამხედრო ადმინისტრატიულ მმართველობისაკენ ფართო საფუძველზე კორეის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის მიზნით და რომ ოთხი სახელმწიფოს მეურვეობა უზრუნველჰყოფს ყველაზე უფრო შესაფერის აპარატს კორეის დამოუკიდებლობის განსახორციელებლად. ამასთან წინადადება იყო შემოტანილი, რათა ოთხმა დაინტერესებულმა სახელმწიფომ რაც შეიძლება მალე განიხილოს კორეისათვის ერთიანი ადმინისტრაციის დაწესების საკითხი მეურვეობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

შემდეგ ამერიკის პროექტი შეიცავდა წინადადებას, რომ შეთანხმებას სხვათა შორის გაეთვალისწინებინა ადმინისტრატიული ორგანო (შეერთებული შტატები, ჩინეთი, შეერთებული სამეფო და სსრ კავშირი), რომელიც იმოქმედებდა გაერთიანებული ერებისა და კორეელი ხალხის სახელით. ამ ადმინისტრატიულმა ორგანომ უნდა განახორციელოს ისეთი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, როგორიც საჭირო იქნება კორეის ეფექტიანი მართვისათვის მანამდე, სანამ შეიქმნებოდეს კორეის დამოუკიდებელი მთავრობა. ადმინისტრატიულმა ორგანომ თავისი რწმუნებანი და ფუნქციები უნდა განახორციელოს უმაღლესი კომისრისა და აღმასრულებელი საბჭოს მეშვეობით, რომელიც შესდგება ადმინისტრატიულ ორგანოში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. ამასთან ამერიკის პროექტი შეიცავდა წინადადებას, რომ უმაღლესმა კომისარმა და აღმასრულებელმა საბჭომ უზრუნველჰყონ, რამდენადაც შესაძლებელია მალე, კორეელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პროგრესი და შექმნან კორეის სახალხო-არჩევითი საკანონმდებლო ორგანოები და სათანადო სასამართლო სისტემა კორეაში, — ყოველივე ეს იმ მიზნით, რათა შეიქმნას კორეის დამოუკიდებელი მთავრობა ხუთი წლის განმავლობაში, რა ვადაც შეიძლება გაგრძელებულ იქნას, თუ საჭირო გახდა, იმ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებით, რომლებიც წარმოდგენილი არიან ადმინისტრატიულ ორგანოში, შემდგომი პერიოდისათვის, რაც ხუთ წელს არ აღემატება.

ამერიკის პროექტის მიღების შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ სამი მინისტრის თათბირის განსახილველად შეიტანა თავისი პროექტი გადაწყვეტილებისა კორეის შესახებ. ამერიკის დელეგაცია გაეცნო საბჭოთა პროექტს, მოხსნა თავისი პროექტის განხილვა და აზრი გამოსთქვა მცირე შესწორებებით საბჭოთა პროექტის მიღების სასარგებლოდ. ამას დაეთანხმა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის დელეგაცია. ამის შედეგად სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის მიერ კორეის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საბჭოთა პროექტი.

სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის მიერ კორეის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1945 წლის 28 დეკემბერს, მთელ რიგ არსებით მუხლებში განსხვავდება ამერიკის პირვანდელი პროექტისაგან.

პირველი. ამერიკის პროექტი შეიცავდა წინადადებას, რომ პირველ ხანებში კორეაში შექმნილიყო ერთიანი ადმინისტრაცია ორი სამხედრო სარდლის მეთაურობით, რომლებსაც უნდა განეხორციელებინათ კორეის მმართველობა მეურვეობის დაწესებამდე. ამასთან დაშვებული იყო სამხედრო სარდლების ადმინისტრაციის ორგანოებში კორეელების მონაწილეობა მხოლოდ ადმინისტრატორებად, კონსულტანტებად და მრჩევლებად. კორეის ეროვნული მთავრობის შექმნა კი ამ პერიოდში სრულიად არ იყო გათვალისწინებული ამერიკის პროექტით. სამი მინისტრის თათბირის გადაწყვეტილებაში კი, საბჭოთა მთავრობის წინადადებით, აღნიშნულია ღონისძიებანი იმ გადაუდებელი ადმინისტრატიულ-სამეურნეო საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ეხებიან როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კორეას, და, როგორც ცნობილია, ამას უკვე ჩაეყარა საფუძველი კორეაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სარდლობის წარმომადგენელთა იმ თათბირის მოწვევით, რომელიც ამჟამად სეულში სწარმოებს. ამასთან ერთად ამ გადაწყვეტილებით აღიარებულია კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის გადაუდებლობა, რაც შეესაბამება კორეელი ხალხის მომწიფებულ ეროვნულ მოთხოვნებს და რამაც ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე კორეაში იაპონელთა ხანგრძლივი ბატონობის დამღუპველ შედეგთა უსწრაფეს ლიკვიდაციას.

მეორე. ამერიკის პროექტი შეიცავდა წინადადებას, რომ კორეაში მეურვეობის დასაწესებლად შექმნილიყო ოთხი სახელმწიფოს (შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი) ადმინისტრატიული ორგანო, რომელიც განახორციელებდა თავის რწმუნებებსა და ფუნქციებს უმაღლესი კომისრისა და აღნიშნული ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარი აღმასრულებელი საბჭოს მეშვეობით. ამ ადმინისტრატიულ ორგანოს ამერიკის პროექტით უფლება ეძლეოდა განეხორციელებინა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება კორეაში მეურვეობის განხორციელების პერიოდში. ამასთან ამ პერიოდისათვის ამერიკის პროექტში გათვალისწინებული არ იყო კორეის ეროვნული მთავრობის შექმნა. სრულიად სხვაგვარად არის დაყენებული საკითხი სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის მიერ საბჭოთა მთავრობის პროექტის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებაში. ამ გადაწყვეტილებით არა თუ გადადებული არ არის კორეის ეროვნული მთავრობის შექმნა, არამედ, პირიქით, გათვალისწინებულია კორეის დროებითი მთავრობის შექმნისათვის ხელის შეწყობა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მხრივ. ამ მიზნით გადაწყვეტილია შეიქმნას ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისია, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს კორეის მთავრობის შექმნის დაჩქარებას და ამასთან კონსულტაცია უნდა გასწიოს კორეის დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ამრიგად, ოთხი სახელმწიფოს მეურვეობა კორეაში უნდა ხორციელდებოდეს კორეის დროებითი მთავრობისა და მისი ორგანოების მეშვეობით, რამაც უნდა უზრუნველჰყოს კორეელი ხალხის ეროვნული ინტერესები.

მესამე. ამერიკის პროექტი შეიცავდა წინადადებას, რათა მეურვეობა კორეაში დაწესებულიყო ხუთი წლის ვადით და დაშვებული იყო მეურვეობის განგრძობა კიდევ ხუთი წლით. ამრიგად, ოთხი სახელმწიფოს მეურვეობა კორეაში შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ათი წლის განმავლობაში. საბჭოთა მთავრობის წინადადებით, სამი მინისტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში კი მეურვეობის ვადა დაწესებულია მხოლოდ ხუთი წლით. ამით მეურვეობის განგრძობა უფრო მეტი ვადით გამორიცხულია.

ამრიგად, კორეის გაზეთების ზემოხსენებული ცნობები ამახინჯებენ საქმის ფაქტიურ მდგომარეობას და აყალბებენ საბჭოთა მთავრობის ნამდვილ პოზიციას.

როგორც ჩანს, კორეის გაზეთები გახდნენ არასწორი და არაკეთილსინდისიერი ინფორმაციის მსხვერპლი.

### სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

## 1945 წლის IV კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ოლქთა, მხარეთა და რესპუბლიკათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, განიხილა რა 1945 წლის IV კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ოლქთა, მხარეთა და რესპუბლიკათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, **დაადგინა:**

1. ცნობილ იქნან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და გადაეცეთ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები თვითეულს 450 ათასი მანეთის რაოდენობით:

უკრაინის სსრ ვინიცის ოლქს
უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქს
ბელორუსიის სს რესპუბლიკას
ორიოლის ოლქს
საქართველოს სს რესპუბლიკას.

2. აღინიშნოს, რომ 1945 წლის IV კვარტალში ტრაქტორების რემონტის გეგმის შესასრულებლად კარგი მუშაობა გასწიეს აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის სს რესპუბლიკებმა; მოსკოვის, იაროსლავლის, ივანოვოს, ლენინგრადის, როსტოვის, ყირიმის ოლქებმა; პრიმორიეს მხარემ, უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკისა და სტალინოს ოლქებმა.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

### პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნის განხილვა საერთო კომიტეტში

**ლონდონი,** 22 იანვარი. (საკდესი). დღეს გენერალური ასამბლეის საერთო კომიტეტის სხდომაზე გრძელდებოდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის იმ მოთხოვნის განხილვა, რომ იგი წარმოდგენილი იყოს გენერალურ ასამბლეაში.

თავდაპირველი განცხადება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა, რომელიც მოითხოვდა სათათბირო ხმის უფლებას გენერალურ ასამბლეაში და ოფიციალურ მდგომარეობას ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში ხმის უფლებით, შეცვლილი ფორმით შემოვიდა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის სიტრინის და ამ ორგანიზაციის მდივნის საიანის მიერ ხელმოწერილ წერილში ნათქვამია, რომ საჭიროა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას წინადადება მიეცეს, რათა იგი ასამბლეის სხდომებს ესწრებოდეს სათათბირო და საკონსულტაციო ხმით, აგრეთვე, რათა იგი წესდების 71-ე მუხლის შესაბამისად მიწვეულ იქნას რეგულარული კონსულტაციისათვის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოსთან ერთად. „ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს,—ნათქვამია წერილში,—რომ შემდეგში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას საშუალება მიეცემა სრული მონაწილეობა მიიღოს ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობაში ხმის უფლებით. ჩვენ მივესალმებით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლობის შესაძლებლობას, რათა გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოვიდეთ ჩვენი მოთხოვნების დასაცავად და იმ მიზნით, რომ სათანადო კომიტეტთან განვიხილოთ ძირითადი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ჩვენს კავშირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან".

საერთო კომიტეტმა მიიღო კიდევ ორი წერილი, რომლებიც ანალოგიურ მოთხოვნებს შეიცავენ, — საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსისაგან, რომელიც წარმოადგენს 35 ქვეყნის 75 მილიონ კაცს, და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისაგან, რომელიც წარმოადგენს 81 მილიონ ქალს. კომიტეტმა მიიღო აგრეთვე დეპეშა ამერიკის შრომის ფედერაციის წარმომადგენელ რობერტ უოტისაგან, რომელიც მოითხოვს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თხოვნა უარყოფილ იქნას.

უოტი მოითხოვს, რომ ამერიკის შრომის ფედერაციას მიეცეს იგივე კონსულტატიური ან სხვა სტატუტი, რომელიც შესაძლოა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მისცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე ორგანომ.

უკრაინის დელეგატმა ამხ. მანუილსკიმ, რომელიც შეეხო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისაგან მიღებულ წერილებს, განაცხადა, რომ იგი დიდად თანაუგრძნობს სამივე ამ ორგანიზაციას. პრინციპულად იგი წინააღმდეგი არ არის ყველა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, მაგრამ აღნიშნავს, რომ მათ შორის გატარებულ უნდა იქნას რაიმე დიფერენციაცია. საჭიროა განხილულ იქნას, ამ ორგანიზაციათაგან რომელს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ომის შემდეგ მშვიდობის აღორძინებაში, და, უეჭველია, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია. მშვიდობის აღორძინება შეუძლებელია პროფკავშირთა თანამშრომლობის გარეშე. ამერიკის შრომის ფედერაციისაგან მიღებული დეპეშის შესახებ ამხ. მანუილსკიმ განაცხადა, ეს მოთხოვნა არც კი უნდა განვიხილოთ, ვინაიდან, თუმცა ამერიკის შრომის ფედერაცია მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, მაგრამ მას მაინც საერთაშორისო ხასიათი არა აქვსო. სამიში პრეცედენტი იქნებოდა, სთქვა მანუილსკიმ, რომელიმე ქვეყნის ცალკე პროფკავშირული ორგანიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მისი აზრით, წესდების 71-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია სპეციალურ შეთანხმებებს მიაღწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ვრცელდება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადებაზე, მაშინ როცა ეკონომიური და სოციალური საბჭოს დროებითი დღის წესრიგის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს ისეთი კომიტეტის შექმნას, რომელმაც მოხსენება უნდა გააკეთოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ. ამხ. მანუილსკიმ წინადადება წამოაყენა მიღებულ იქნას რეზოლუცია შემდეგი სახით: რამდენადაც მუშათა კლასის ორგანიზაციების თანამშრომლობა ყველაზე უფრო საჭიროა მშვიდობის აღსადგენად, საჭიროა რეკომენდებულ იქნას, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია დაშვებულ იქნას სათათბირო ხმის უფლებით ეკონომიური და სოციალური საბჭოს სხდომებზე.

ჩინეთის დელეგატი ველინგტონ კუ შეუერთდა ამხ. მანუილსკის შენიშვნებს და განაცხადა, რომ საჭიროა შეთანხმება ეკონომიურ და სოციალურ საბჭოსთან, რათა ეს საკითხი განხილულ იქნას და გამოინახოს საშუალება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სპააკმა, რომელიც გამოვიდა როგორც თავმჯდომარეც და როგორც ბელგიის დელეგატიც, განაცხადა, რომ იგი სავსებით ეთანხმება კუს და მანუილსკის იმაში, რომ უნდა დაკმაყოფილდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნა. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია გამოჰყოს ადამიანთა სპეციალური ჯგუფი, რომელნიც ჩაითვლებიან არა დელეგატებად, არამედ „სტუმრებად". გენერალური ასამბლეის მიერ საერთო საკითხების განხილვისას შეიძლებოდა გამოეყოთ ერთი ან ორი სხდომა იმისათვის, რომ მოესმინათ, თუ რის განცხადება სურთ ამ სტუმრებს. რაც შეეხება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თხოვნას ეკონომიურ და სოციალურ საბჭოსთან კავშირის თაობაზე, ყველას ესმის, რომ წესდების 71-ე მუხლი ფართო ასპარეზს იძლევა არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციისათვის.

საფრანგეთის დელეგატმა პოლ-ბონკურმა მხარი დაუჭირა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნას ეკონომიურ და სოციალურ საბჭოსთან მუდმივი თანამშრომლობის შესახებ. მან განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ორგანიზაცია თავისთავად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს და რომ იგი ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ არ უნდა გამოვიჩინოთ ასეთი დამოკიდებულება მისდამი.

ამ წინადადებათა წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისის დელეგატი ნოელ-ბეიკერი და ამერიკის დელეგატი კონელი. ნოელ-ბეიკერმა განაცხადა, რომ თუ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა, მან არ იცის, როგორ შეიძლება უარყოფილ იქნას საერთაშორისო სავაჭრო პალატის ან მეწარმეთა საერთაშორისო ასოციაციის მოთხოვნები, თუ ასეთ მოთხოვნებს შემოიტანენო.

კონელი აგრეთვე გამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნის წინააღმდეგ და ეს იმით დაასაბუთა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთავრობებს წარმოადგენს და არა სხვა ორგანიზაციებსო.

საბჭოთა დელეგატმა გრომიკომ განაცხადა, რომ იგი მომხრეა ამისა, რომ საერთო კომიტეტმა ურჩიოს გენერალურ ასამბლეას და ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს ნება დართონ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას გაგზავნოს ხოლმე თავისი წარმომადგენლები გენერალური ასამბლეისა და ეკონომიური და სოციალური საბჭოს სხდომებზე. ამხ. გრომიკომ აღნიშნა, რომ გენერალურ ასამბლეას შეუძლია რეკომენდაციები მისცეს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს და რომ ეს წესდების დარღვევა არ იქნებაო.

კვლავ გამოვიდა კონელი. ახალი ზელანდიის დელეგატმა ფრეზერმა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა ნიკოლსმა მხარი დაუჭირეს კონელის. გაჩაღდა ხანგრძლივი კამათი პროცედურის საკითხზე, რამაც სამ საათზე მეტ ხანს გასტანა. თავმჯდომარემ გადასწყვიტა სხდომის გადადება და ამასობაში იმ საკითხის გამორკვევა, რომ უფლება აქვს თუ არა საერთო კომიტეტს რეკომენდაციები მისცეს გენერალურ ასამბლეას. საბჭოთა დელეგატმა გრომიკომ კვლავ გაიმეორა თავისი აზრი, რომ კომიტეტს შეუძლია რეკომენდაციების მიცემა, და განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს რეკომენდაციების შეტანას, როცა ეს საკითხი აღიძვრება.

## ვ. ი. ლენინის ძეგლი იმიერპოლარეთში

**ლენინგრადი,** 22 იანვარი. (საკდესი). მხატვრული სხმულობის ქარხანა „მონუმენტსკულპტურამ" დაამთავრა ვ. ი. ლენინის ახალი დიდი ძეგლის ჩამოსხმა. ძეგლი, რომელიც ქარხნის მიერ შესრულებულია სტალინური პრემიის ლაურეატის მ. გ. მანიზერის პროექტის მიხედვით, დაიდგმება იმიერპოლარეთში „ვორკუტუგოლის" ქვანახშირის აუზში.

„კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა 27 იანვარს

# მკაფიო, შინაარსიანი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობისათვის

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 1946 წლის 10 თებერვალი. მთელი ჩვენი სამშობლო უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საარჩევნო კამპანია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ვითარებაში.

მომავალი არჩევნები მოხდება ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პირობებში, რომელიც დადგა ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ.

ჩვენი სამშობლოს მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებში განუსაზღვრელად დიდია ბოლშევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელი როლი.

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„...საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია. არც ერთ პარტიას არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორიც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს. და ეს გასაგებია. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება. სამამულო ომის დღეებში პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს“.

ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით სამშობლოს დაცვაში უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და საბჭოთა ინტელიგენციამ. ამ გმირობის დიდება, რომელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სამამულო ომის ისტორიაში, ახლა მრავლდება მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით, რაც მიმართულია ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისაკენ, საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-სამეურნეო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

ათეული წლების მანძილზე ლენინ-სტალინის პარტია, ამხანაგი სტალინი ამზადებდა ჩვენს ქვეყანას ამ გამარჯვებისათვის. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, რომლის სახელთანაც განუყრელად დაკავშირებულია საბჭოების ქვეყნის მიერ მოპოვებული ყველა წარმატება როგორც მშვიდობიანი მშენებლობის, ისე დიდი სამამულო ომის წლებში.

ამხანაგმა სტალინმა იხსნა საბჭოთა კავშირის ხალხები გერმანელ ფაშისტთა მიერ დამონებისაგან.

ამხანაგი სტალინი მთელ მოწინავე, კულტურულ კაცობრიობას მიაჩნია კულტურისა და ცივილიზაციის მხსნელად.

საბჭოთა კავშირის ხალხები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ მათ ხელმძღვანელობს თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი ამხანაგი სტალინი.

სტალინის სახელი გამარჯვებისა და ბედნიერების სიმბოლოა. სტალინის სახელი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის.

აი რატომ არის, რომ მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დაასახელეს ბელადი, მასწავლებელი და მხედართმთავარი — მშობლიური, საყვარელი სტალინი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად ამხანაგი სტალინი დაასახელა ქართველმა ხალხმა, მათ შორის აფხაზეთის მშრომელებმა.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს წილად ხვდათ დიდი პატივი — მეორეჯერ მისცენ ხმა სსრ კავშირის ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

მოსკოველებთან ერთად ამხანაგ სტალინს სულითა და გულით ხმას მისცემს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

ქართველი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დასთანხმდა კენჭი იყაროს თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქში.

დიდი პატივი ხვდათ წილად თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს. ისინი ხმას მისცემენ ერთგულ სტალინელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამაყია თბილისი — ძველისძველი ქალაქი, საქართველოს გული, სადაც კენჭს იყრის ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. თბილისთან ერთად ზეიმის დღეებს განიცდის მთელი საბჭოთა საქართველო.

გმირი და ნიჭიერი ქართველი ხალხის ყოველივე საუკეთესო თავმოყრილია ქალაქ თბილისში, სადაც უდიდესი მუშაობა გასწია ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. მისი ხელმძღვანელობით თბილისი გადაიქცა ნამდვილ სოციალისტურ ქალაქად, რომლითაც მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს.

ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ბერია მთელი ქართველი ხალხის სიყვარულითა და ნდობით სარგებლობს. მისი ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა — საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა მიაღწიეს თავისი მეურნეობის დიდ აღმავლობას, თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ნამდვილ აყვავებას.

როდესაც გერმანელ ფაშისტთა ჯარები გააფთრებით მოისწრაფოდნენ კავკასიისაკენ, რათა გაენადგურებინათ ამიერკავკასიის აყვავებული რესპუბლიკები, დაემონებინათ და გაექლიტათ კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები, ამხანაგი ბერია, დიდი სტალინის დავალებით, კავკასიაში ჩამოვიდა.

ამხანაგ ბერიას სამხედრო და ორგანიზატორულმა ტალანტმა აღაფრთოვანეს კავკასიის ხალხები და ფრონტის ჯარები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელდა კავკასიაში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების სტალინური გეგმა.

აი რატომ უწოდებს ჩვენი ხალხი ამხანაგ ბერიას კავკასიის ბრძოლის გმირს.

საბჭოთა ხალხისათვის კარგად არის ცნობილი ამხანაგ ბერიას განსაკუთრებული დამსახურება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არტილერიით, საჭურვლითა და საომარი მასალით უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებმა იმის აღსანიშნავად, რომ დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ბერია კენჭს იყრის საბჭოთა საქართველოში, იკისრეს დამატებითი ვალდებულებანი. ისინი მიმართულია ახალ წარმატებათა მოპოვებისაკენ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურული მშენებლობის დარგში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აფხაზეთის ჩაის, ციტრუსოვანთა, თუთუნის პლანტაციები გავხადოთ სანიმუშონი, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ მეცხოველეობა, უზრუნველვყოთ მეთამბაქოების, მევენახეობის შემდგომი განვითარება, გავადიდოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ბოლშევიკების პარტია ამ არჩევნებში, ისე როგორც წინანდელ საარჩევნო კამპანიაში, გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან კავშირში. იგი უპარტიო მშრომელებთან ერთად იბრძოლებს ომით დანგრეული მეურნეობის უსწრაფესად აღდგენის, სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირის ხალხთა საარსებო და კულტურული დონის აღმავლობის, საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ფართოდ გააჩაღეს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, მშრომელებს განუმარტავენ სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებს, საარჩევნო კანონს, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და მოვალეობებს, საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობას ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროებს.

აგიტატორთა და პროპაგანდისტთა რაოდენობა აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში არჩევნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდდა. თუ 1945 წლის ოქტომბრისათვის ჩვენს რესპუბლიკაში 3.793 აგიტატორი და პროპაგანდისტი ითვლებოდა, ახლა ისინი უკვე 5.222 კაცს შეადგენენ. მარტო სოხუმში აგიტატორთა რაოდენობა 502 კაცით გადიდდა.

აგიტატორებისათვის რეგულარულად კვირაში ერთხელ ტარდება სემინარები სტალინური კონსტიტუციის საკითხებზე, ამხანაგ სტალინის მოხსენებაზე „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, საარჩევნო კანონზე. აგიტატორები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში, გარდა ამისა, ჩატარებულია სემინარები და თათბირები პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებისათვის, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკებისა და კლუბების გამგეებისათვის.

ფართოდ არის გაჩაღებული მასობრივ-საგიტაციო მუშაობა მშრომელთა შორის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით—სახლებსა და საერთო საცხოვრებლებში. აგიტატორები სისტემატურად განუმარტავენ ამომრჩევლებს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“.

ფართო გაქანება ჰპოვა მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ ყველა ჩვენი 232 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტებში.

სანიმუშოა ქალაქ სოხუმის სტალინის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის მუშაობა. პუნქტი მოწყობილია კულტურულად. იქ ყოველდღე მიდის მრავალი ამომრჩეველი. აგიტპუნქტი უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით. არის პლაკატები, რუკები, ახალი გაზეთები. დიასახლისმა ამომრჩევლებმა ქ. ლ. სოფრომაძემ, ნ. ა. გოგუაძემ, ნ. ტ. გერგაიამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგიტპუნქტის მოწყობაში. მათ კარგად შეისწავლეს საბჭოთა საარჩევნო სისტემა და თვითონ ეწევიან საგიტაციო მუშაობას დიასახლისთა შორის. აგიტპუნქტი აერთიანებს 15 აგიტატორს, რომლებმაც მოსახლეობაში უკვე ჩაატარეს 135 საუბარი. აგიტატორი მ. ადამია—1-ლი ქართული ვაჟთა საშუალო სკოლის უპარტიო მასწავლებელი მუშაობს ფრუნზეს ქუჩაზე № 22 სახლში მცხოვრებ დიასახლისთა შორის. მან 11 საუბარი ჩაატარა. ამხ. ადამია გულდასმით ემზადება მეცადინეობისათვის, შეარჩევს ხოლმე სათანადო ლიტერატურას, ამომრჩევლებს უკითხავს ახალ გაზეთებს და ესაუბრება საბჭოთა საარჩევნო სისტემისა და საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე. დიასახლისებს აინტერესებთ საბჭოთა საარჩევნო კანონის სხვადასხვა საკითხები და თავის აგიტატორს ბევრ კითხვას აძლევენ. ამომრჩეველმა ქალებმა ამხ. ადამიას მისცეს, მაგალითად, ასეთი კითხვა: როგორ სწარმოებს არჩევნები კაპიტალისტურ ქვეყნებში? აგიტატორმა ეს კითხვა გასაგებად განუმარტა დიასახლისებს. კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები მ. წურწუმია და შურღაია, რომლებიც აგიტაციას ეწევიან მოგილევსკისა და სტალინის ქუჩებზე მცხოვრებ დიასახლისთა შორის.

სტალინის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში სისტემატურად ტარდება საუბრები, კონსულტაციები, მოხსენებანი და ლექციები სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის საკითხებზე. ჩატარებულია 7 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 350 კაცი, 9 ჯგუფობრივი კონსულტაცია, რომლებმაც მომსახურება გაუწიეს 200 კაცს. 365 კაცს მიეცა ინდივიდუალური კონსულტაცია. პრაქტიკაშია შემოღებული ამომრჩევლების მიერ ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენების „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ გრამოფონური ჩანაწერის კოლექტიური მოსმენა. აგიტპუნქტი რეგულარულად უშვებს კედლის გაზეთს „ამომრჩევლის ხმა“.

დიდი გაცხოველებაა ქალაქ სოხუმის ორჯონიკიძის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში. იქ მიმსვლელი ამომრჩევლები ყოველთვის იღებენ საჭირო კონსულტაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების, საარჩევნო კანონისა და მიმდინარე პოლიტიკის შესახებ. 3 იანვარს საგიტაციო პუნქტში მოვიდა 12 დიასახლისი. მათ აინტერესებდათ საბჭოთა საარჩევნო სისტემის პრინციპები. ამ თემაზე საინტერესო, გასაგები საუბარი ჩაატარა აგიტატორმა ქვანიამ — სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა. ყველა საკითხზე, რომლებიც მას დიასახლისებმა მისცეს, ამხ. ქვანიამ ამომწურავი პასუხი გასცა.

კარგად არის დაყენებული ოჩამჩირის რაიონის ცაგერას საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის მუშაობა. აგიტატორები ყოველ მეორე დღეს ატარებენ მეცადინეობას ამომრჩევლებთან. დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ემზადებიან საუბრებისათვის, ცოცხლად, მიმზიდველად ატარებენ მათ აგიტატორები ჩიქოვანი, კოპალიანი, ჭაბუკიანი. მეცადინეობაზე დასწრება კარგია. ამომრჩევლების უმეტესობა სწორად ერკვევა საარჩევნო კანონის საკითხებში. აგიტპუნქტში სისტემატურად ტარდება კონსულტაციები და საუბრები.

მერხეულის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი აერთიანებს 30 აგიტატორს, რომლებიც წამოყენებული არიან სოფლის ინტელიგენციიდან. კვირაში 2-3 ჯერ ისინი ატარებენ საუბრებს. აგიტპუნქტი კარგად არის მოწყობილი, საკმაო რაოდენობით აქვს საარჩევნო ლიტერატურა. ამ პუნქტის ბევრმა აგიტატორმა უკვე დაამთავრა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ ახსნა-განმარტება. აგიტპუნქტი დიდი პოპულარობით სარგებლობს ამომრჩეველთა შორის.

სანიმუშოა აგრეთვე აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი. იგი აერთიანებს 25 აგიტატორს, რომლებიც მიმაგრებული არიან ამომრჩეველთა განსაზღვრულ ჯგუფებზე და ყოველდღიურად ატარებენ მათთან საუბრებს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ და სსრ კავშირის კონსტიტუციის საკითხებზე. ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში ამ უბნის აგიტატორებმა 180 საუბარი ჩაატარეს ამომრჩევლებთან. აგიტპუნქტის გამგემ ამხ. აბლოთიამ აღრიცხა ის ამომრჩევლები, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. ახალგაზრდა ამომრჩევლებთან იგი უშუალოდ თვითონ ატარებს საუბრებსა და კონსულტაციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამხ. აბლოთია პერიოდულად ატარებს აგიტატორების თათბირს გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ოწყობს ხელს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებას.

ჩვენ ვალდებული ვართ ორგანიზაციული და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა საარჩევნო კამპანიის დღეებში ავიყვანოთ ახალ საფეხურზე, გავხადოთ იგი კიდევ უფრო მკაფიო, შინაარსიანი და გასაგები.

უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებაში არის მისი ხარისხი, მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, ბოლშევიკური მგზნებარება და პრინციპულობა.

აგიტატორმა ფართოდ უნდა გააცნოს ამომრჩევლებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ბიოგრაფია, ბოლშევიკურად გაუწიოს აგიტაცია კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ბოლშევიკურ აგიტაციასა და პროპაგანდაში საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემის, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხების გაშუქებამ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნდობით აღჭურვილ პირთა კარგ მუშაობას.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ფართოდ უნდა გააჩაღოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ამომრჩეველთა ყველა ფენაში. ის ნამდვილ ბოლშევიკურ აგიტაციას უნდა ეწეოდეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატისათვის.

საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ყველა ნაცადი ფორმა და მეთოდი—საუბრები, ლექციები, მოხსენებანი, გაზეთები, წიგნები, რადიო. საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა უნდა მოიცავდეს ადგილობრივი ცხოვრების ფაქტებსა და მაგალითებს. ბოლშევიკური აგიტატორის სიტყვა ნათელი და გასაგები უნდა იყოს.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დაეხმარონ კომკავშირს ფართოდ გააჩაღოს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ახალგაზრდობის ყველა ფენაში. საბჭოთა ახალგაზრდობის რვა ასაკი პირველად მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში. თვითეული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მოვალეობაა დახმარება გაუწიოს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ღრმად შეითვისონ სტალინური კონსტიტუცია, დებულება არჩევნების შესახებ, გასაგებად და მიმზიდველად უამბოს ახალგაზრდობას საბჭოთა ხალხის დიად მონაპოვრებზე, რომლებიც მიღწეულია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით. თვითეულ ახალგაზრდას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების, საბჭოთა სოციალისტური წყობილების წყაროებზე, ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, საბჭოთა დემოკრატიაზე, საბჭოთა მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობებზე, მის მოვალეობაზე არჩევნების დღეებში.

ჩვენ შევედით საარჩევნო კამპანიის ახალ, გადამწყვეტ ეტაპში, როდესაც ჩვენი პარტია მთელი ძალით აჩაღებს ორგანიზაციულ და საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. საჭიროა კვლავ და კვლავ დაწვრილებით, მოფიქრებულად შევამოწმოთ საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობის ყველა რგოლი. არ შეიძლება თუნდ ერთის წუთით დავივიწყოთ ის გადამწყვეტი მნიშვნელობა არჩევნების წარმატებით ჩატარების საქმეში, რაც ჩვენი პარტიის პოლიტიკურ მუშაობას აქვს მშრომელთა მასებში.

საბჭოთა ხალხმა, გამარჯვებულმა ხალხმა, რომელმაც სამამულო ომის წლებში დიდი პოლიტიკური გამოცდილება დააგროვა, უფრო უკეთ შეიგნო საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობანი. საბჭოთა დემოკრატიულმა სისტემამ წარმატებით გაუძლო ისტორიაში უდიდესი ომის ყველა განსაცდელს და კიდევ უფრო გამოიწრთო.

საბჭოთა ხალხი, მტკიცედ დარწმუნებული საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობაში, ყოვლისშემძლე ძალაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება.

ეს არჩევნები კიდევ უფრო აამაღლებენ ჩვენი ხალხის პოლიტიკურ აქტივობას, უფრო მტკიცედ დარაზმავენ მას მშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გარშემო.

# ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ გიორგი თევდორეს-ძე სტურუასთან

სამტრედია („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). რკინიგზელთა კლუბში შეიკრიბნენ ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ბერიას და ჩარკვიანის საარჩევნო უბნების ამომრჩევლები.

ამომრჩეველთა შეკრება გახსნა სამტრედიის მოლოტოვის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ორდენოსანმა ამხ. ა. გიორგაძემ.

სიტყვით პირველი გამოდის სტალინის საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. რ. ტორონჯაძე.

— 1945 წელი,—ამბობს იგი,—ისტორიაში შევიდა, როგორც დიად გამარჯვებათა წელი. დადგა მშვიდობიანობის ნანატრი ჟამი. ამ გამარჯვებებს საბჭოთა ხალხი უმადლის გმირ წითელ არმიას, სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას და ჩვენს მამას და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს.

ახლოვდება 10 თებერვალი.

სამტრედიის სავაგონო დეპოს კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი თევდორეს-ძე სტურუა. ამ წინადადებამ ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა სამტრედიის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო რაიონულ და კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის № 561 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე.

ამხ. ტორონჯაძე დაწვრილებით მოუთხრობს მათი კანდიდატის ბრძოლისა და შრომის გზას.

— სამტრედიის რაიონის მშრომელები,—ამბობს დასასრულ იგი, — ერთსულოვნად მისცემენ ხმას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს გიორგი თევდორეს-ძე სტურუას.

სიტყვით გამოდის ლენინის საარჩევნო უბნის მოხუცი ამომრჩეველი კოლმეურნე ა. ანდრიაძე. ის ამბობს:

— მე, რიგითი კოლმეურნე, რომელსაც კარგად მახსოვს თვითმპყრობელობის რეჟიმის სისასტიკე, უდიდესი სიხარულით მივცემ ხმას ჩვენს კანდიდატს. ამით მე ხმას მივცემ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც ჩვენ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება მოგვანიჭა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ოლქიდან უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატია ძველი ბოლშევიკი გიორგი თევდორეს-ძე სტურუა.

განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს შეხვედრის მონაწილეებმა საორთქლმავლო დეპოს უხუცესი მუშის, ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრის გ. ნუცუბიძის სიტყვა.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბერიას საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა თ. თავაძემ და მასწავლებელმა ე. გულდედავამ.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. გიორგი თევდორეს-ძე სტურუას, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, — სთქვა ამხ. სტურუამ,—მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინეთ, დამასახელეთ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

შეგიძლიათ მტკიცედ დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ, როგორც აქამდე, ისე მომავალშიც მთელ ჩემს ენერგიას მოვახმარ ლენინ-სტალინის დიად საქმეს, მშრომელთა კეთილდღეობას.

ამხ. სტურუა ლაპარაკობს იმ დიად გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

ლენინ-სტალინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ დიდ სამამულო ომში! ამ დროშითვე, დიდი სტალინის წინამძღოლობით, გავიმარჯვებთ კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში!—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. სტურუა.

# ამომრჩეველთა ექსკურსია გორში

მშრომელებმა დილით ადრე მოიყარეს თავი ბერიას რაიონის მერვე საარჩევნო უბანში. შეკრებილთა შორის არიან დიასახლისები, ახალგაზრდა ამომრჩევლები, სამამულო ომის მონაწილენი. დღეს ისინი გორში მიემგზავრებიან დიდი ბელადის სახლის სანახავად.

ლამაზად მორთულ დარბაზში ერთობიან ექსკურსანტები. გამგზავრების წინ მრავალ საინტერესო საკითხზე ესაუბრება მათ აგიტპუნქტის მორიგე აგიტატორი კოტე ციციშვილი. საარჩევნო უბნის მორიგე პარმენ მეტრეველი ამომრჩევლებს ეხმარება საარჩევნო სიის შემოწმებაში.

დღის 12 საათია.

მატარებელი დაიძრა გორის მიმართულებით. კომფორტაბელური ვაგონი სპეციალურად ექსკურსანტებისათვის არის გათვალისწინებული. ხალიჩებით და რბილი სავარძლებით მორთულ ვაგონში მოწყობილია ლენინისა და სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. ეს ვაგონი-გამოფენა მოეწყო 1939 წელს დიდი სტალინის დაბადების 60 წლისთავზე. მისი უფროსია ძველი ბოლშევიკი ივანე ჭიაურელი.

ნახევარ მილიონზე მეტი ექსკურსანტი მიიღო ამ ვაგონმა დაარსების დღიდან. მან შემოიარა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხე. შთაბეჭდილებათა წიგნში ამ მიმზიდველი გამოფენის შესახებ სხვადასხვა ენაზე მრავალი საინტერესო სტრიქონი ჩაუწერიათ წითელი არმიის მეომრებს, ექსკურსანტებს. სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარი გენერალ-ლეიტენანტი კოვალიოვი შთაბეჭდილებათა წიგნში სწერს:

„ვაგონი-გამოფენა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. იგი ეხმარება მშრომელებს ბოლშევიკური პარტიის მდიდარი რევოლუციური წარსულის გაცნობაში. კარგი იქნება, რომ უახლოეს ხანში მოეწყობოდეს კიდევ ორი ვაგონი. ერთმა უნდა ასახოს ამხანაგ სტალინის როლი სამამულო ომში და მეორეში მოეწყოს ხმოვანი კინო“.

დიდი ლენინისა და დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდები ექსკურსანტებს მიმზიდველად მოუთხრო ვაგონის ახალგაზრდა ლექტორმა ლეილა ოგანეზოვამ. დიასახლისებმა ნადია კუპუნიძემ, ანა დროზდოვამ, ბარბარე გვათუამ, გულიზარ მოსეხიანმა და ნინო მახნიაშვილმა მრავალი საინტერესო შეკითხვა მისცეს ლექტორს.

აგიტატორ კონსტანტინე მუჯირის დახმარებით დიასახლისებმა ვაგონშივე დაამზადეს წერილები სპეციალური კედლის გაზეთისათვის, რომელსაც დაბრუნებისას გამოსცემს საარჩევნო უბანი.

ექსკურსანტებმა გორში გულდასმით დაათვალიერეს ისტორიული სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. დიასახლისებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პარტკაბინეტის გამგეს ამხ. ნინო გვათუას, რომელიც თან ახლდა ექსკურსანტებს. მათ სურვილი გამოსთქვეს მომავალშიც მოეწყოს ასეთი ექსკურსია.

ი. უბილავა

ახალი მიღწევებით აღვნიშნოთ საბჭოთა საქართველოს სახელოვანი XXV წლისთავი

# წითელწყაროელთა მიმართვას გამოეხმაურნენ

ჩოხატაური („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეები გულდასმით გაეცნენ წითელწყაროს რაიონის სოფელ უზუნდარის ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა პატრიოტულ მოწოდებას. კოლმეურნეობებში, ბრიგადებსა და რგოლებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, რომ წელს შარშანდელზე კიდევ უფრო კარგი მოსავალი მოიყვანონ.

1.780 ჰექტარიდან ჩაის პლანტაციები შებარულია 400 ჰექტარზე. გაწმენდილია 61 კილომეტრი სადრენაჟო ქსელი. პლანტაციების ერთ მეხუთედზე შეტანილია ფოსფოროვანი სასუქი. მთავრდება აზოტოვანი სასუქის ადგილებზე მიტანა. მიმდინარეობს ვენახების შებარვა, სარების დამზადება, ღობეების შეკეთება და სხვ.

სოფელ ბუკისციხის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. გურგენიძე) პირობა დასდო, რომ წელს აითვისებს 12 ჰექტარ ყამირს, შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაადიდებს ციტრუსების მოსავლიანობას, 10-50 პროცენტით მეტს მიიღებს სიმინდის, კარტოფილის, სოიის, ჩაისა და ტუნგის მოსავალს, მთლიანად შეინარჩუნებს პირუტყვის ნამატს, გაზრდის წველადობას.

სოფელ შუა განახლების ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ჯიბლაძე) წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად 1946 წლის სამუშაოთა შესასრულებლად ისე კარგად მოაწყო შრომა, რომ უკვე დაამთავრა ჩაის პლანტაციების მცუბუქი შებარვა (დაბარულია 50 ჰექტარი). ადგილზე მიტანილია როგორც ფოსფოროვანი, ისე აზოტოვანი სასუქები, შეუფერხებლად მუშაობს სამჭედლო. შეკეთებულია იარაღ-მანქანები.

წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად ახალი ვალდებულებანი იკისრეს და მუშაობა გააჩაღეს აგრეთვე სოფელ ძირგანახლების ლენინის, სამების ვოროშილოვის, გორაბერეჟოულის მოლოტოვის, კოხნარის ორჯონიკიძის, ნაკადულის მახარაძის სახელობის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა.

მთლიანად რაიონში გათვალისწინებულია ჩაის, ციტრუსებისა და ვენახის საზამთრო სამუშაოები დაამთავრონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისათვის, ნოემბრის დღესასწაულისათვის კი მთლიანად შეასრულონ სახელმწიფო გეგმები ხორცის, ყველის, ტყავნედლეულის და სხვათა ჩაბარების დარგში.

ბ. თოდრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

## სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია



ამხ. ს. გ. ხოშტარია დაიბადა 1901 წელს ქალაქ ქუთაისში. 1921 წელს იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა.

1927 წლამდე ამხ. ხოშტარია მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტში და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში ხელმძღვანელ სამუშაოზე. 1927 წლიდან 1936 წლამდე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში. 1936 წლიდან არის საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი. 1937 წლის დამლევიდან დღემდე საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ამხ. ხოშტარიას დამსახურება სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში აღნიშნულია **ლენინის** ორი ორდენით, რომლებითაც იგი დაჯილდოებულ იქნა 1941 და 1944 წლებში. სამამულო ომის დღეებში ამხ. ხოშტარია წარმატებით ასრულებდა მთავრობის სპეციალურ დავალებებს ფრონტისა და მოსახლეობის სურსათით, ხოლო მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უზრუნველყოფის დარგში და ამისათვის დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. მას მიღებული აქვს აგრეთვე მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ს. გ. ხოშტარია სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

## სერგი მარტინის-ძე იმხანოვი



ამხ. ს. მ. იმხანოვი დაიბადა 1904 წელს თბილისში. მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის ტრამვაიში, 1921 წელს შევიდა კომკავშირში, ხოლო შემდეგ არჩეულ იქნა ტრამვაელთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად.

1925-დან 1928 წლამდე ამხ. იმხანოვი მუშაობდა კომკავშირის არსენალის რაიკომში, ხოლო შემდეგ — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტში და ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1931-1938 წლებში ამხ. იმხანოვი მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ახალქალაქისა და აღბულაღის რაიკომებისა და თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივნად. შემდეგ ამხ. იმხანოვს ირჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად.

სამამულო ომის პერიოდში ამხ. იმხანოვი წარმატებით მუშაობდა საომარი მასალებისა და საჭურვლის წარმოების დარგში მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. ამხ. იმხანოვი დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ს. მ. იმხანოვი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია.

1944 წლის დეკემბრიდან ამხ. ს. მ. იმხანოვი მუშაობს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

## იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი



ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილი დაიბადა 1906 წელს. პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო, როცა კომკავშირელი მუშა იყო, და რამდენიმე წლის მანძილზე ეწეოდა ხელმძღვანელ მუშაობას აჭარის კომკავშირულ ორგანიზაციებში, შემდეგ კი აჭარისა და საქართველოს პროფკავშირებში. 1924 წელს იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამხ. კოჭლამაზაშვილი 1937 წელს ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე იყო საქართველოს რაიონებში — ყვარელსა, ტყიბულსა და გურჯაანში. მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1938 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

1938 წლის სექტემბერში ამხ. კოჭლამაზაშვილს ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე იყო 1943 წლის მაისამდე. მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე აღნიშნულია **ლენინის** ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

მთავრობის სპეციალურ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ამხ. კოჭლამაზაშვილი დაჯილდოებულია აგრეთვე წითელი ვარსკვლავის ორდენით.

1943 წლიდან დღემდე ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილი მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. იგი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

## გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი



ამხ. გ. ა. გოჩაშვილი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. იგი არის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრი.

ამხ. გოჩაშვილი დაიბადა 1904 წელს ქალაქ თბილისში, მუშის ოჯახში. 1922 წელს შევიდა კომკავშირში და მთელი რიგი წლების მანძილზე კომკავშირულ სამუშაოზე იყო. 1927 წელს ამხ. გოჩაშვილი შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

1929-დან 1935 წლამდე ამხ. გოჩაშვილი მუშაობდა ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში. 1935-36 წლებში მუშაობდა საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში, ხოლო 1936 წლის დამლევიდან — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

შემდეგ ამხ. გოჩაშვილი მუშაობდა საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად, იყო საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის გორის რაიკომის მდივანი, თბილისის პარტიული ორგანიზაციის ორჯონიკიძისა და სტალინის რაიკომების პირველი მდივანი, შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

სამშობლოს წინაშე დამსახურებათათვის ამხ. გოჩაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

## სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია



სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსია. 20 წელზე მეტია, რაც იგი ეწევა თავის სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას. მან ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლა თავისი ხალხის წარსული. მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა.

აკადემიკოსი ს. ნ. ჯანაშია თავისი მასწავლებლის საქართველოს ისტორიული მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლის, განსვენებული აკადემიკოსის ი. ა. ჯავახიშვილის საქმის ღირსეული განმგრძობია. დიდი მუშაობა გასწია აკადემიკოსმა ჯანაშიამ, როგორც ხელმძღვანელმა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციისა, რომელმაც საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად აკადემიკოსი ს. ნ. ჯანაშია დიდ ორგანიზაციულ-საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს. 1941 წლიდან იგი საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია.

1940 წლიდან ს. ნ. ჯანაშია პარტიის წევრია.

ს. ნ. ჯანაშიას ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა და კულტურული მშენებლობის დარგში მისი თვალსაჩინო დამსახურებანი აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით—**ლენინის** ორი ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

აკადემიკოსი ს. ნ. ჯანაშია დაიბადა 1900 წელს მახარაძის რაიონის, სოფელ მაკვანეთში, სახალხო მასწავლებლის ოჯახში.

## მაქსიმე კონსტანტინეს-ძე ბალავაძე



ამხ. მ. კ. ბალავაძე დაიბადა 1910 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ ღანირ-ქვიტირში. 1939 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

1934 წელს ამხ. ბალავაძემ დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1937 წელს მუშაობს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის უფროსად, ხოლო შემდეგ ქარხნის კადრების მომზადების განყოფილების უფროსად. 1939 წელს გაიგზავნა პარტიულ სამუშაოზე; მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების კვების მრეწველობის კადრების სექტორის გამგედ. შემდეგ არის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგე, და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგე.

ამხ. ბალავაძე ომის დაწყებიდან 1943 წლის აგვისტომდე მოქმედ არმიაში იყო, სადაც მუშაობდა დივიზიის პოლიტგანყოფილებაში ჯერ ინსტრუქტორად, ხოლო შემდეგ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად.

1943 წელს, წითელი არმიიდან დაბრუნების შემდეგ, ამხ. ბალავაძეს ირჩევენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

სამამულო ომის წლებში ამხ. ბალავაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

## გიორგი არტემის-ძე ალავიძე



ამხ. გ. ა. ალავიძე დაიბადა 1902 წელს ქალაქ ფოთში. უმაღლესი აგრონომიული განათლება თბილისში მიიღო, რის შემდეგ მთელი რიგი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სუბტროპიკული კულტურების მუშაკთა სასოფლო-სამეურნეო კადრების აღსაზრდელად. თავის ცოდნასა და გამოცდილებას იგი ახმარდა საქართველოში სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის მოწყობის საქმეს, ნარგავების მოვლის მოწინავე აგროტექნიკის გავრცელებას.

1936 წელს ამხ. ალავიძე დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1938 წლიდან ამხ. ალავიძე მუშაობდა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით.

1941 წელს ამხ. ალავიძე შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

1945 წლის დეკემბერში ამხ. ალავიძე დაინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისრად.

დიდი სამამულო ომის დღეებში ამხ. ალავიძე დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

## კალენიკე გიორგის-ძე ლავთაძე



მარგანეცის წარჩინებული სტახანოველი კ. გ. ლავთაძე დაიბადა 1912 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ქვედა ითხვისში. აქ მან დაამთავრა დაწყებითი სკოლა და ერთხანს სოფლის მეურნეობაში მუშაობდა.

კალენიკე ლავთაძე 16 წლის ჭაბუკი იყო, როცა სამუშაოდ წავიდა ჭიათურაში, სადაც მარგანეცის მაღაროებში ამწმენდად დადგა. იგი სწავლობს კადრის მუშებისაგან და მალე ეუფლება მარგანეცის მრეწველობის წამყვან პროფესიას.

ამხ. კ. ლავთაძე ჭიათურის მოწინავე მუშებთან ერთად მარგანეცის მრეწველობის ერთ-ერთი პირველი სტახანოველი იყო და ახლაც დიდი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

მთელი ენერგიით მუშაობდა ამხ. კ. ლავთაძე სამამულო ომის დღეებში. იგი არა მარტო თვით უჩვენებდა თავდადებული შრომის ნიმუშებს, არამედ დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მუშებს სამთო პროფესიის ათვისებაში.

სამამულო ომის დღეებში ჭიათურის მაღაროებში თავდადებული მუშაობისათვის ამხ. კ. ლავთაძე დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, აგრეთვე სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საპატიო სიგელით.

ამხ. კ. გ. ლავთაძე საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში 1939 წელს შევიდა. მოწინავე მაღაროელი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი ამხ. ლავთაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჭიათურის მშრომელებში.

# სასამართლო პროცესი უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

## 22 იანვრის დილის სხდომა

**კიევი**, 22 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე პირველი დაკითხულ იქნა ბრალდებული დრახენფელს-კალიუვერი, პოლიციის თანამშრომელი. პოლიციის ბატალიონ „ოსტლანდის" შემადგენლობაში 1941 წლის ნოემბერში ეს თავზე ხელაღებული ფაშისტი ჩამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. პროფესიონალი მკვლელი, რომელმაც სპეციალური საპოლიციო სკოლა დაამთავრა, იგი ქალაქ როვნოში ჩასვლისას მონაწილეობდა 25 ათასი მშვიდობიანი მოქალაქის დახვრეტაში, ჟიტომირის ოლქში—მთელი რიგი სოფლების გადაწვაში, ძარცვასა და ეგზეკუციებში.

ქალაქ როვნოში მომხდარი ხვრეტის შემდეგ დრახენფელს-კალიუვერი გაჰყვა იმ უკრაინელი მოსახლეობის ეშელონს, რომელიც ძალით გარეკეს გერმანულ კატორღაში. ადამიანები პირუტყვივით შეჰყარეს საქონლის ვაგონებში, 50 კაცი თითო ვაგონში. ამ ვაგონებში ჩალაც კი არ იყო დაგებული. ადამიანებს გზაში საჭმელს არ აძლევდნენ.

**პროკურორი:** რა მითითებებს იღებდით თქვენ ამ ადამიანთა შესახებ?

**ბრალდებული:** მხოლოდ გვეცემნა მათთვის, ხოლო ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევდა—დაგვეხვრიტა.

**პროკურორი:** პირადად თქვენც ხვრეტდით?

**ბრალდებული:** დიახ.

სასამართლოში ირკვევა ბრალდებულის დამნაშავეობა აგრეთვე სხვა ბოროტმოქმედებაში, რაც ჩადენილ იქნა უკრაინის ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში.

სამხედრო ტრიბუნალი იწყებს ბრალდებულ მაიერის, ფაშისტური ორგანიზაციის „იუნგფოლკის" წევრის, გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურის დაკითხვას. 1942 წლის ივნის-ივლისში იგი, როგორც ეგრეთწოდებული „საბრძოლო რაზმის" მეთაური, მონაწილეობას იღებდა მასობრივ ხვრეტაში, ცეცხლის წაკიდებასა და ძარცვაში როვნოს ოლქის ქალაქ სარნში.

ბრალდებული მაიერი თავის რაზმთან ერთად მონაწილეობას იღებდა ქალაქ სარნში 14 ათასი მოქალაქის დახვრეტაში.

**პროკურორი:** პირადად თქვენ რამდენი კაცი დახვრიტეთ?

**ბრალდებული:** პირველ დღეს დავხვრიტე 80 კაცი, მეორე დღეს კი 140 კაცი.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული ლაუერი—ორტსკომენდატურის მოსამსახურე, რომელიც დროებით ოკუპირებული უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში იყო. ლაუერისა და მისი ბანდის შესვლის შემდეგ ქალაქის განაპირა უბნებში თხრილებსა და კარიერებში რჩებოდა დახვრეტილ და წამებით დახოცილ ადამიანთა ათასობით გვამი. მარტო ერთი დღის განმავლობაში ლვოვის ახლოს ქვიშის კარიერში ლაუერის ბანდამ 300 კაცი დახვრიტა, მათ შორის ქალები, მოხუცები და ბავშვები.

სისხლიან ბოროტმოქმედებათა კვალი დასტოვა ჯალათმა ლაუერმა ტარნოპოლში, ვინიცაში, პოლტავაში, სტალინოში, მარიუპოლში.

დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა აგრეთვე ბრალდებული გელერფორტი, რომელიც დნეპროპეტროვსკის ოლქის დნეპროძერჟინსკის რაიონის „სდ"-ის (უშიშროების სამსახურის) უფროსის თანამდებობაზე იყო.

თავმჯდომარემ თარჯიმნის მეშვეობით წარუდგინა ბრალდებულს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ გელერფორტის ბოროტმოქმედებათა ფაქტებს. ბრალდებული იძულებულია დამნაშავედ სცნოს თავი.

ბრალდებულ გელერფორტის დაკითხვით დამთავრდა სასამართლოს დილის სხდომა.

## 22 იანვრის საღამოს სხდომა

**კიევი**, 23 იანვარი. (საქდესი). სამხედრო ტრიბუნალის საღამოს სხდომა მიეძღვნა ბრალდებულ ტრუკენბროდისა და მის საქმეზე გამოწვეულ მოწმეთა დაკითხვას.

ტრუკენბროდი ბრალდებულთა სკამზე მყოფი ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი და ვერაგი ჰიტლერელი მახინჯია. ქალაქების პერვომაისკის, კოროსტენის, კოროსტიშევის კომენდანტად ყოფნის დროს იგი აუტანელ პირობებს უქმნიდა მოსახლეობას, აწარმოებდა ხვრეტას, გერმანულ კატორღაში ერეკებოდა ადამიანებს, ანგრევდა და ცეცხლს უკიდებდა დასახლებულ პუნქტებს. მისი ბრძანებებით პერვომაისკში დახვრიტეს 8.400 მშვიდობიანი მცხოვრები.

წინასწარ გამოძიებაზე და სასამართლო სხდომის დაწყებისას ბრალდებული ტრუკენბროდი დაჟინებით უარჰყოფდა თავის დანაშაულს, აცხადებდა, რომ მშვიდობიან მოქალაქეთა დახვრეტა სწარმოებდა თითქოს მისი ბრძანებით კი არა, არამედ ამას სჩადიოდნენ პოლიცია, ჟანდარმერია, „სდ"-ის რაზმები და სხვა დამსჯელი ორგანოები. მაგრამ სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა, რომ ტრუკენბროდი ორგანიზატორი და მონაწილეა ყველა სისხლისმღვრელი აწიოკებისა და რეპრესიისა, რასაც იმ ქალაქების მცხოვრებთა წინააღმდეგ მიმართავდნენ, სადაც იგი კომენდანტად იყო.

ამით მთავრდება სასამართლოს საღამოს სხდომა.

## 23 იანვრის დილის სხდომა

**კიევი**, 23 იანვარი. (საქდესი). სასამართლოს მთელი დილის სხდომა მიეძღვნა მოწმეთა ჩვენებებს.

მოწმეებმა თავიანთი ჩვენებებით ბოლომდე ამხილეს ბრალდებული ტრუკენბროდი.

მოწმე ამხ. დურაკოვას პროკურორი ეკითხება: რა იცით თქვენ ქალაქ დნეპროძერჟინსკში ბრალდებულ გელერფორტის მხეცობის შესახებ? თქვენ იცნობთ მას?

**დურაკოვა:** ვიცნობ, მან დამაპატიმრა.

თამარ დურაკოვა სასამართლოს უამბობს, რომ გელერფორტი, რომელმაც იგი დააპატიმრა, დიდხანს აწარმოებდა მის დაკითხვას კაბინეტში. ერთხელ საღამოს, დაახლოებით ცხრა საათზე, იგი კვლავ გაიძახეს დაკითხვაზე. გელერფორტმა ერთბაშად უთხრა: „დღეს თქვენ ყველაფერს გვიამბობთ". ყველა კითხვაზე დურაკოვა უპასუხებდა: „არა", „არ ვიცი". მაშინ გელერფორტმა უბრძანა მოეყვანათ ორი აგენტი.—კაბინეტში დივანი იდგა,—განაგრძობს დურაკოვა, მე ძალით დამაგდეს ზედ. ერთი აგენტს ხელით ვეჭირე, მეორეს ფეხით, გელერფორტი კი ტყვიან მათრახს მცემდა. მე გონება დავკარგე. ასე მოექცნენ სხვა პატიმრებსაც.

აგვისტოს დამდეგს იურენის ბანაკში გაგვგზავნეს, იქიდან კი მაუტჰაუზენის (ავსტრია) ბანაკში. შემდეგ ყველა ქალი გაგვგზავნეს ოსვენციმში, მამაკაცები კი ადგილზევე დასტოვეს. ოსვენციმში გვიან ღამით მიგვიყვანეს.

შეგვიყვანეს ფანჯარაჩამტვრეულ ცივ შენობაში. იქ დაგვაშიშვლეს, თმა მოგვკრიჭეს და დარბაზში გაგვატარეს ცივ შხაპქვეშ. სველი და შიშველი ვიდექით ხუთი საათის განმავლობაში. ბოლოს დაგვირიგეს ზოლებიანი გრძელი კაბები, ტილოიანი თეთრეული, ფეხსაცმლად მოგვცეს ხის ქოშები, თავსახურავად—ჩვარი. ყოველი მხრიდან გვცემდნენ.

შემდეგ მიგვიყვანეს გრძელ ბარაკში, დაგვაწყეს ხუთ-ხუთად. სველი ქალები გვერდით დადგნენ და გვიბრძანეს სამ-სამი მივსულიყავით თვითეულთან. როცა მე მივედი, მეც და ორ სხვასაც მარცხენა ხელზე ნომერი ამოგვწვეს.

**პროკურორი:** რა იყო თქვენი ნომერი?

**დურაკოვა:** 65.163.

თამარ დურაკოვამ სახელო გადაიწია და ყველანი შეძრწუნებულნი ხედავენ მას ნომერს.

ბრალდებული გელერფორტი იცნო აგრეთვე მოწმე პაველ ოგურცოვმა. ამ მოწმემაც გადაიტანა გელერფორტის „დაკითხვები". ოგურცოვს ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე, მათრახსა და ზუმბას სცემდნენ. ჰიტლერელების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკების შესახებ სასამართლოს უამბო თამარ დურაკოვას მეგობარმა ვანდა ვოლოვსკაიამაც.

მოწმე ვოლოვსკაიას დაკითხვით დამთავრდა სასამართლოს დილის სხდომა.

# სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

## 22 იანვრის დილის სხდომა

**მინსკი**, 22 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ჰერფის—ბელორუსიაში პოლიციის უფროსის და პარტიზანებთან ბრძოლის მთავარი შტაბის უფროსის მოადგილის დაკითხვა.

მისი მითითებით ოთხ საკონცენტრაციო ბანაკში მინსკში და მინსკის ახლოს დაპატიმრებული იყო ათი ათასობით მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე და სამხედრო ტყვე. უდიდესი სივიწროვე, შიმშილი, ყოველდღიური ცემა და ავადმყოფობა დიდ სიკვდილიანობას იწვევდა. სიკვდილით დასჯისა და წამების განსაკუთრებით საშინელი ადგილი იყო საკონცენტრაციო ბანაკი მალი ტროსტინეცი.

შემდეგ სასამართლო ადასტურებს ჰერფის დამნაშავეობას მთელ ბელორუსიაში მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ ხვრეტაში. არასრული ცნობებით, გერმანიის პოლიციამ ოკუპაციის დროს 100 ათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე დახვრიტა.

ერთხელ მინსკში სდ სასადილოში აფეთქება მოხდა. მალე იქ მივიდა ჰერფი. გერმანელმა პოლიციელებმა და სდ რაზმებმა მოაწყეს ჩხრეკა და დააპატიმრეს თეთრი ზღვისა და არქტიკის ქუჩების 600 მცხოვრები. ყველა ეს სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქე ტროსტინეცის სიკვდილის ბანაკში წაიყვანეს და იქ მოსპეს.

[illegible] ტიზანებთან ანგარიშის გასასწორებლად. ბელორუსიაში ჰერფის ყოფნის ორივე პერიოდის განმავლობაში მისმა ხელქვეითმა ჟანდარმებმა და პოლიციამ დააპატიმრეს და დახოცეს ათასობით საბჭოთა მოქალაქე, გადასწვეს 70-მდე სოფელი.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა ბრალდებულ ჰერფის კავშირი ბელორუსიის გენერალურ კომისარ კუბესთან, რომლის საერთო ხელმძღვანელობითაც ხორციელდებოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ყველა ბოროტმოქმედება.

ფაშისტ ჯალათ კუბეს მოკვლის შემდეგ ბელორუსიაში რეპრესიები გაძლიერდა. მეორე დღეს მინსკში მოაწყეს მასობრივი ჩხრეკა, რომლის შედეგადაც შეპყრობილ იქნა რამდენიმე ათასი საბჭოთა მოქალაქე. ისინი მოათავსეს ჰერფისადმი დაქვემდებარებულ საკონცენტრაციო ბანაკსა და საპყრობილეში, შემდეგ კი დახვრიტეს, როგორც მძევლები.

**პროკურორი:** ახლა გვითხარით, ვინ, როდის, სად და რა გარემოებაში გელაპარაკათ თქვენ 20 მილიონი რუსი ადამიანის გაჟლეტის შესახებ?

**ჰერფი:** როდესაც მეორეჯერ დავბრუნდი ბელორუსიაში, გენერალურ კომისარ კუბესთან მივედი. იგი მელაპარაკებოდა ჩემი საქმიანობის შესახებ. კუბემ მითხრა, რომ მან მიიღო ჰიმლერის ბრძანება — მოესპო 20 მილიონი რუსი, ბელორუსი და სხვა სლავი.

შემდეგ სასამართლო გადადის ჰერფის საქმის გამო მოწმეთა დაკითხვაზე.

ამით მთავრდება დილის სხდომა.

## 22 იანვრის საღამოს სხდომა

**მინსკი**, 23 იანვარი. (საქდესი). საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ჰერფის საქმის გამო მოწმეთა დაკითხვა.

საღამოს სხდომის დასასრულს დაიწყო გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურის, ბრალდებულ გეტერიხის დაკითხვა. იგი მონაწილეობას იღებდა მინსკის ახლოს მასიუკოვშჩინის ბანაკის 10 ათასი საბჭოთა სამხედრო ტყვისა და ქალაქ ლგოვის ახლოს 500 მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქის დახვრეტაში, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები.

უპასუხებს რა პროკურორის შეკითხვებზე, გეტერიხი დანაშაულებრივად სცნობს გერმანელთა სარდლობის ბრძანებებს. იგი დანაშაულობად სცნობს აგრეთვე იმას, რომ ამ ბრძანებებს ასრულებდა.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

# მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

## 22 იანვრის დილის სხდომა

**ნიურნბერგი**, 22 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის დილის სხდომაზე ბრალდების საფრანგეთის წარმომადგენელი დელპეში განაგრძობდა ჰიტლერელების მიერ ბელგიის გაძარცვის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას.

მეთოდები, რომლებსაც ჰიტლერელები ნორვეგიის, დანიისა და ჰოლანდიის გაძარცვის დროს იყენებდნენ, ამბობს ბრალმდებელი, ამდენადვე გამოყენებულ იქნა ბელგიის მიმართ.

სურდათ რა გერმანიისათვის გამოეყენებინათ ბელგიის საწარმოთა ყველაზე ძვირფასი მოწყობილობა, ჰიტლერელი სამხედრო ხელისუფალნი ბერლინიდან სათანადო სამმართველოთა მითითებით ხურავდნენ ცალკეულ საწარმოებს, რისთვისაც იმიზეზებდნენ იმპერიის სამხედრო მიზნების მისაღწევად მათი მუშაობის უსარგებლობას.

ახორციელებდნენ რა ბელგიის ეკონომიურ გაძარცვას, ამბობს ბრალმდებელი, გერმანელებმა ოკუპაციის დაწყებისთანავე მოითხოვეს, რომ მათთვის გადაეცათ ბელგიაში არსებული მთელი მარაგი, განსაკუთრებით ფერადი ლითონებისა და საფეიქრო საქონლისა.

ბელგიის მთავრობის დოკუმენტების თანახმად, ის ზარალი, რაც გერმანელმა ოკუპანტებმა ბელგიის შავ მეტალურგიას მიაყენეს, 3 მილიარდი ბელგიური ფრანკით განისაზღვრება. ბელგიის მრეწველობის საერთო ზარალის გამორკვევა, აღნიშნავს ბრალმდებელი, საერთოდ ძნელია.

ჰიტლერელებმა ფრიად დიდი ზარალი მიაყენეს აგრეთვე ბელგიის სოფლის მეურნეობას, კერძოდ პირდაპირ ჩამორთმევათა გზით. ოკუპაციის შედეგად ბელგიის სოფლის მეურნეობისათვის მიყენებულ საერთო ზარალს ბრალმდებელი 2.776 მილიონი ბელგიური ფრანკით განსაზღვრავს.

ომის წარმოების დროს ჰიტლერელი ხელისუფალნი ფართოდ იყენებდნენ ბელგიის სარკინიგზო და სამდინარო ტრანსპორტის ქსელს. რეკვიზიციებითა და ბელგიის სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენებით მიყენებული საერთო ზარალი დაახლოებით 4.5 მილიარდ ფრანკს შეადგენს.

ბრალდების განკარგულებაში არსებული მასალა, ამბობს ბრალმდებელი, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ განსაზღვრულ იქნას ის უდიდესი ზარალი, რაც ბელგიას ომის და მისი ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად მოუვიდა. ზოგიერთი ზარალის ფულადი თანხებით გამოხატვა შეუძლებელია. აქ უნდა მოვიხსენიოთ ჰიტლერელების მიერ დიდძალი კვების პროდუქტების ჩამორთმევა, რის შედეგადაც ბელგიის მოსახლეობა შიმშილობდა.

დაამთავრა რა საბრალდებო მასალის წარდგენა ჰიტლერელების მიერ ბელგიის ეკონომიური გაძარცვის შესახებ, ბრალმდებელი დელპეში გადავიდა ლუქსემბურგის გაძარცვის საკითხის გაშუქებაზე.

— ლუქსემბურგი,—სთქვა დელპეშმა,—ისეთივე სრული ეკონომიური ძარცვის მსხვერპლი გახდა, როგორც ბელგია. ფაქტიურად გერმანელებმა გერმანიას შეუერთეს ლუქსემბურგი.

ბრალმდებელი ტრიბუნალს წარუდგენს ციფრებს, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ რამდენი სამრეწველო ნაწარმი ჩაიგდეს ხელში ჰიტლერელებმა ლუქსემბურგში. იგი ამბობს, რომ, ლუქსემბურგის მთავრობის მიერ სარეპარაციო კომისიაში გაგზავნილი წერილის თანახმად, ლუქსემბურგისათვის ოკუპანტების მიერ მიყენებული ეკონომიური ზარალი შეადგენს 5.884.333.404 ლუქსემბურგულ ფრანკს 1938 წლის ფასებით.

შემდეგ ბრალდების საფრანგეთის წარმომადგენელი შეუდგა საფრანგეთის ეკონომიური გაძარცვის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას.

— როცა გერმანელებმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრეს,—ამბობს იგი,—მათ მაშინვე ხელში ჩაიგდეს საფრანგეთის ეროვნული მრეწველობა. ჰიტლერელმა დამპყრობლებმა უდიდესი თანხები მოსთხოვეს საფრანგეთს ვითომდა საოკუპაციო არმიის საჭიროებისათვის. მათ აგრეთვე მოითხოვეს, რომ საფრანგეთს აენაზღაურებინა გერმანიისათვის სამხედრო ზარალი. ეს ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საფრანგეთის არაოკუპირებული ზონიდან ან მისი კოლონიებიდან ჩაბარებათა საშუალებით. ბრალმდებელს მოჰყავს ციტატა გერმანული დოკუმენტიდან, საიდანაც სჩანს, რომ ჰიტლერელმა დამპყრობლებმა მოითხოვეს გადაეცათ მათთვის აგრეთვე საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში არსებული მთელი უცხოელთა ფასეულობანი.

— ამრიგად,—ამბობს ბრალმდებელი,—გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს საფრანგეთის მთელი ეკონომიური სიმდიდრე, რითაც დაარღვიეს ყოველგვარი იურიდიული პრინციპები.

ამ ოპერაციის შემდეგ ოკუპანტებმა წამოაყენეს ახალი მოთხოვნა — საფრანგეთში მოხმარების შემცირება. ფრანგი მოსახლეობისათვის შემოღებულ იქნა უსასტიკესი ნორმები და შეზღუდვა. ეს შეეხებოდა, როგორც კვებას, ისე ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და გათბობას.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

## 22 იანვრის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი**, 22 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის 22 იანვრის საღამოს სხდომაზე ბრალდების საფრანგეთის წარმომადგენელი განაგრძობდა სასამართლოსათვის იმ მასალების წარდგენას, რომლებიც ახასიათებენ საფრანგეთის ეკონომიურ გაძარცვას გერმანული ოკუპაციის დროს.

ოკუპანტებისათვის საოკუპაციო ხარჯების ანაზღაურებლად გადახდილმა თანხამ მთლიანად 631.866 მილიონ ფრანკს მიაღწია.

ბრალმდებელი არკვევს, რომ გერმანელები საოკუპაციო ხარჯების დასაფარავად მიღებულ თანხებს სხვა მიზნებისთვისაც იყენებდნენ.

თავისი მოხსენების შემდეგი ნაწილი ბრალდების საფრანგეთის წარმომადგენელმა მიუძღვნა საკლირინგო ოპერაციების დროს საოკუპაციო ხელისუფალთა ყალთაბანდური მოქმედების გულმოდგინე გარჩევას. შემდეგ ბრალმდებელი სასამართლოს მოუთხრობს კოლექტიური ჯარიმების სისტემას, რომლებსაც გერმანელები საერთაშორისო სამართლის პრინციპების საწინააღმდეგოდ მოსახლეობას აკისრებდნენ. ბრალმდებელს მოჰყავს იმის ფაქტები, რომ საოკუპაციო ხელისუფლებმა მოახდინეს საფრანგეთის ცალკეული ბანკების ოქროს და ვერცხლის მარაგის კონფისკაცია. 1942 წლის ივლისში გერმანიამ საფრანგეთში ხელთ იგდო ბელგიის ნაციონალური ბანკის კუთვნილი დიდძალი ოქრო.

ეხება რა საფრანგეთის მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობისათვის ოკუპანტების მიერ მიყენებულ ზარალს, ბრალმდებელს მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამორთმევის შესახებ, რის შედეგადაც საფრანგეთის მოსახლეობა განწირული იყო საშიმშილოდ და საშინელ გაჭირვებას განიცდიდა. ბრალმდებელს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, რომ ოკუპანტებმა საფრანგეთიდან უდიდესი რაოდენობით გაზიდეს ქვანახშირი, ნავთი, მადნეული, ფერადი ლითონები, მრეწველობის ნაწარმი, ფართო მოხმარების საგნები.

— საფრანგეთის ეკონომიკას, — აცხადებს ბრალმდებელი,—კოლოსალური ზარალი მოუვიდა გერმანიაში მუშახელის გაყვანით.

თავისი გამოსვლის დასკვნით ნაწილი ბრალმდებელმა მიუძღვნა საფრანგეთში ფაშისტ შეთქმულთა თარეშის შედეგებს. თუ მომავალში, ამბობს იგი, საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენა შესაძლებელი იქნება, სამაგიეროდ მოსახლეობის ფიზიკური განადგურების შედეგების აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელია.

— ფაშისტ შეთქმულთა მოქმედება,—ამბობს დასასრულ ბრალმდებელი,—რაც მათ ჩაიდინეს, სავსებით შეგნებულად და საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე ყველა ცივილიზებულ ერთა სისხლის სამართლის საერთო პრინციპების სრულიად საწინააღმდეგოდ, შეადგენს სამხედრო დანაშაულობას, რისთვისაც ბრალდებულთა სკამზე მყოფმა მთავარმა გერმანელმა სამხედრო დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე.

ამით მთავრდება ტრიბუნალის 22 იანვრის საღამოს სხდომა.

# მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

**პარიზი**, 22 იანვარი. (საქდესი). ძირითადი პარტიების ორი დღის მოლაპარაკების შედეგი ახალი მთავრობის შექმნის შესახებ ასეთია: სოციალისტებმა და „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიამ აზრი გამოსთქვეს იმის სასარგებლოდ, რომ შეიქმნას მთავრობა სამი ძირითადი პარტიის — სოციალისტების, კომუნისტებისა და „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წარმომადგენელთა შემადგენლობით სოციალისტ ვენსან ორიოლის მეთაურობით. კომუნისტები აყენებენ სოციალისტ ფელიქს გუენის კანდიდატურას. იგი, როგორც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული, კომუნისტების აზრით, ამრიგად ისეთი მოღვაწეა, რომელიც თვითონ პოლიტიკური პარტიების მაღლა დგას. მოლაპარაკება ახალი მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შესახებ გრძელდება.

დღეს დილით ლიონიდან ჩამოსულმა ერიომ შეკრიბა რადიკალ-სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფი. თუმცა ამ თათბირის შემდეგ არავითარი კომუნიკე არ გამოქვეყნებულა და მისი მონაწილენი აცხადებენ, თათბირზე არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. ცნობილი გახდა, რომ თათბირზე გამოქლავნდა სხვადასხვა თვალსაზრისი ახალ მთავრობაში რადიკალთა მონაწილეობის საკითხზე. პიერ კოტმა, აგრეთვე დრეიფუს-შმიდტმა აზრი გამოსთქვეს სოციალისტურ-კომუნისტურ მთავრობასთან რადიკალების თანამშრომლობის სასარგებლოდ; ამ მთავრობაში ერიო შესძლებდა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი მიეღო. თათბირის მონაწილეთა უმეტესობა აცხადებდა, რომ რადიკალები კეთილმსურველად შეხვდებოდნენ სოციალისტურ-კომუნისტური მთავრობის შექმნას, მაგრამ მასში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

**პარიზი**, 22 იანვარი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 23 იანვარს 15.00 საათზე პარიზის დროით შესდგება დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზეც არჩეულ იქნება ახალი მთავრობის მეთაური.

**პარიზი**, 23 იანვარი. (საქდესი). დამფუძნებელი კრების ვიცე-თავმჯდომარის ანდრე მერსიეს თავმჯდომარეობით დღეს პარიზის დროით 15 საათზე გახსნილი დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელიც მოწვეული იყო საფრანგეთის დროებითი მთავრობის ახალი თავმჯდომარის ასარჩევად, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის სახელით გამოსული დე მენტონის წინადადებით გადატანილ იქნა საღამოსათვის.

როგორც პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, დამფუძნებელი კრების სხდომის გადატანის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ, თუმცა სამი პარტია შეთანხმდა გუენის კანდიდატურაზე, მაგრამ „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიამ წამოაყენა მთავრობაში თავისი შესვლის ზოგიერთი დამატებითი პირობა, რომლებიც ორმა სხვა პარტიამ არ მიიღო, რის გამოც მოლაპარაკება სხდომის გახსნის მომენტისათვის არ დამთავრებულა.

კერძოდ გადმოგვცემენ, რომ „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია დაჟინებით მოითხოვს უზრუნველყოფილ იქნას სამინისტრო სოლიდარობა, ე. ი. პარტიებმა, რომლებსაც მთავრობაში თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ, უარი სთქვან მთავრობის საქმიანობის კრიტიკაზე. მეორე მხრივ, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია მოითხოვს, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტში გაძლიერებულ იქნას რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებები.

„სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიისა და ორ სხვა პარტიას შორის უთანხმოებამ ის გამოიწვია, რომ დღეს მოლაპარაკება კიდევაც შეწყდა, რის შემდეგაც „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის საპარლამენტო ჯგუფი ცალკე თათბირზე შეიკრიბა.

სამ პარტიას შორის მოლაპარაკება დამფუძნებელი კრების სხდომის დახურვის შემდეგ განახლდა.

# ფელიქს გუენი არჩეულია საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

**პარიზი**, 23 იანვარი (საქდესი). დამფუძნებელმა კრებამ ფელიქს გუენი აირჩია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

# ბირმის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის კონგრესის რეზოლუცია

**ლონდონი**, 21 იანვარი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან იუწყება, სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის პირველმა სრულიად ბირმის კონგრესმა, რომელიც აქ გაიხსნა, რეზოლუცია მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ ბირმელთა მიზანია სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიონ.

„ჩვენ,—ნათქვამია რეზოლუციაში,—ვერ დაგვაკმაყოფილებს დომინიონის სტატუტი ანდა რაიმე სხვა სტატუტი ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში". ყრილობის მონაწილენი რეზოლუციაში მოითხოვენ, რომ ბირმელებს მიენიჭოთ თავისუფლება თვითონ განსაზღვრონ თავიანთი საკუთარი ბედი სუვერენული დამფუძნებელი კრების მეშვეობით, აგრეთვე შექმნან დროებითი ეროვნული მთავრობა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ბირმის ყველა დემოკრატიული ჯგუფი.

# მდგომარეობა სამხრეთ ირანში

## შეიარაღებულ არაბთა თავდასხმა ქალაქ ხორემშეხრზე

**თეირანი**, 21 იანვარი. (საქდესი). ირანული გაზეთებისა და სამხრეთ ირანიდან ჩამოსულ პირთა ცნობით, ამას წინათ შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული 300 არაბი ნავებით გადმოვიდა ერაყიდან ირანის ტერიტორიაზე და შეიარაღებული თავდასხმა მოახდინა მდინარე შატ-ელ-არაბზე მდებარე ქალაქ ხორემშეხრზე. არაბებმა განაიარაღეს ჟანდარმთა და პოლიციელთა რამდენიმე საგუშაგო, დაიკავეს საბაჟო და ძარცვა-გლეჯა გამართეს ქალაქში. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. გადმოგვცემენ, რომ შეიარაღებულ არაბთა თავდასხმას მეთაურობდნენ შეიხ ჯასები და აბდულა აზიზი, შვილები ცნობილ შეიხ ჰაზალისა, რომელიც ხელმძღვანელობდა სამხრეთ ირანის არაბთა სეპარატისტულ აჯანყებას, და რომელიც შემდეგ სიკვდილით დასაჯა რეზა შაჰმა. შეიხ ჯასები და აბდულა აზიზი ამ უკანასკნელ ხანს ბასრაში (ერაყი) ცხოვრობდნენ.

13 იანვრის გაზეთი „ნოვრუზე ირანი" არაბ-ერაყის საზღვარზე მომხდარ ინციდენტს განიხილავს, როგორც გარკვეული პოლიტიკური მიზნებით წამოწყებულ ინსცენირებას, რომლის შემდეგაც არაბები უკანვე გაიყვანეს ირანიდან.

# ტომების შეიარაღება სამხრეთ ირანში

**თეირანი**, 21 იანვარი. (საქდესი) თეირანის გაზეთებმა მრავალი ცნობა გამოაქვეყნეს ირანში უცხოური ნიმუშის იარაღის კონტრაბანდულად შემოტანისა და სამხრეთ ირანში ტომებისა და სხვადასხვა ბანდიტური ჯგუფების შეიარაღების შესახებ.

15 იანვარს გაზეთმა „მარდომმა" ცნობა გამოაქვეყნა, რომ დეილენით, რიგით, დელვარით, განავითა და სპარსეთის ყურის სხვა ნავსადგურებით განუწყვეტლივ შემოაქვთ იარაღი (უმთავრესად ათვაზნიანი შაშხანები). თვითეული ასეთი შაშხანა და ასი საბრძოლო ვაზნა 70 თუმნად იყიდება.

როგორც გაზეთი იუწყება, ირანის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალნი სრულიად არ ეწინააღმდეგებიან სამხრეთ ირანში იარაღის შემოტანას.

# სამხრეთი ტომების ხანთა მომავალი თათბირი შირაზში

**თეირანი**, 16 იანვარი. (საქდესი). გაზეთ „მარდომის" ცნობით, ცნობილი უცხოელი აგენტი კავამ შირაზი შირაზში იწვევს ირანის სამხრეთის ტომების მის მახლობელ ხანებს, რათა ეთათბიროს მათ ცენტრიდან გაგზავნილი იარაღის განაწილების შესახებ.

# შიო არაგვისპირელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

შაბათს, 26 იანვარს მწერალთა კლუბში გაიმართება შიო არაგვისპირელის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ლეო ქიაჩელი.

სიტყვებით გამოვლენ ერ. ასტვაცატუროვი, შ. რადიანი, დ. შენგელაია და ს. ჭილაია.

მოგონებებს შ. არაგვისპირელზე წაიკითხავენ თედო სახოკია და დავით კასრაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას, 27 იანვარს, 1 საათზე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში (ცაიშის ქ. № 34). მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილება აწყობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვ. ზ. ღვალაძის გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომას.

მოსმენილ იქნება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვ. კაკაბაძის, დოცენტ ს. დურმიშიძის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ რ. აგლაძის, დოცენტ ბ. ივანოვის მოხსენებები და პირადი მოგონებანი.

# მოძრაობის წესების დამრღვევისათვის

საქართველოს სსრ მილიციის სამმართველომ გასული წლის ოქტომბერში და ნოემბერში 106 შოფერს 6 თვის ვადით ჩამოართვა ავტომანქანის მართვის უფლება მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის, ეშმაკურად გადამეტებული სისწრაფით მგზავრობისათვის.

დეკემბერში ასეთივე დანაშაულისათვის მანქანის მართვის უფლება 6 თვით ჩამოერთვა 20 შოფერს. მათ შორის არიან:

„კოოპინკავშირის" შოფერი ა. ი. აკოფოვი, რომელსაც აქვს 10 დარღვევა და სხვადასხვა დროს გადახდილი 1,500 მანეთი ჯარიმა, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების საქართველოს სამმართველოს შოფერი ა. მ. შაბბატოვი, რომელსაც აქვს 9 დარღვევა, „საქპურტრესტის" შოფერი ვ. ი. თედორაძე—12 დარღვევა და 900 მანეთი ჯარიმა, ტარის ქარხნის შოფერი ა. ა. არუთინოვი—12 დარღვევა და 1,400 მანეთი ჯარიმა, სასურსათო ბარათების რესპუბლიკური ბიუროს შოფერი ს. ძ. ჯაფარიძე—14 დარღვევა და 1,400 მანეთი ჯარიმა, აბრეშუმის შოფერი ს. მ. აბაზოვი—9 დარღვევა და ხუთი ნასამართლობა, „ტრანსტორგაბანის" შოფერი თუმანოვი—9 დარღვევა, ფანერის ქარხნის შოფერი მ. ი. პარაევი—10 დარღვევა, 1,100-მანეთი ჯარიმა და სხვა სასჯელი, დიმიტროვის სახელობის ქარხნის შოფერი კ. ს. ჯანგველაშვილი—11 დარღვევა.

მოძრაობის წესების დამრღვევი შოფერები მკაცრად იქნებიან დასჯილნი.

# ახალი აფთიაქი

სამხრეთ ოსეთის საოლქო საფთიაქო სამმართველომ სტალინირში გახსნა ახალი კეთილმოწყობილი აფთიაქი, რომელიც უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით და მედიკამენტებით.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკაბინეტში

25 იანვარს, საღამოს 8 საათზე, [illegible]

# მოხსენება

25 იანვარს, საღამოს 7 საათზე, [illegible]

# ლექციები

25 იანვარს [illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

# თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—25/I—„დაისი", 26/I—„მეფის საცოლე". რუსთაველის სახელობის—25/I—„დიდი ხელმწიფე", 26/I ხევისბერი გოჩა". მარჯანიშვილის სახელობის—25/I—„მესაფერო ჯალდო", 26/I—„ფაქრის გორა". გრიბოედოვის სახელობის—25/I—„თვითმფრინავი დილა-ღამეს იყვარებს"?, 26/I—„ასეც იქნება" [illegible]

# თოჯინების ქართული თეატრი

რუსთაველის პროსპექტი № 23

25 იანვარს „მოგზაურობა უცნაურ ქვეყანაში". დასაწყისი დღის 12 საათზე.

26 იანვარს „მოგზაურობა უცნაურ ქვეყანაში". დასაწყისი დღის 11 საათზე, დღის 3 საათზე და საღამოს 8 საათზე.

# სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[illegible]

მოქალაქე ილიკო გაბრიელის-ძე ესმაგამბა [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი «კომუნისტი», თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00012